№ 287 თბილისის მუშათა ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 შაური პარასკევი, დეკემბრის 17 1920 წ.

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 ხან., ცალკე ნომერი ყველგან 10 შან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 შან. 4-ე გ. 15 შან. საბუღალტრო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. ცნც. განცხადება ანი 120 მ. ხელის განცხ. დაბეჭდვა ღირს ნახევრზე მეტი 20%, რედ. მცირის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—81

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

დღეს, 17 დეკემბერს საიუბილეო სიმფონიური კონცერტი ბეთხოვენის დაბადებიდან 150 წლის შესრულების გამო ბოროვსკისა და ბელოუსოვის მონაწ. შაბათს, 18 დეკემბერს წარმოდგენა მუშებისათვის სიმფონიური კონცერტი ბოროვსკისა და ბელოუსოვის მონაწ. კვირას, 19 დეკემბერს, „ფრა დიავოლო“.

დასაწყისი სრულ 8 საათზე სალამოს. 1011 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

შაბათს, დეკემბრის 11-ს მეორედ ხელახლა კომედია

„ა ღ ლ უ მ ი“

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე.

კვირას, დეკემბრის 19-ს მესამედ „ს ი ც რ უ ე“.

სამშაბათს, დეკემბრის 21-ს მეოთხედ „გერდო-ზმანია“

ბილეთები კასაში

მზადდება: „ანგიონა“, „მარიამ მაგდალელი“.

1012 1—1

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს ოპერაციულ განყოფილებაში

თავისუფალია უმცროსი ორდინატორის ადგილი.

ამ თანამდებობის დაკავების მსურველთ დეკემბრის 25-მდის უნდა წარმოადგინონ თხოვნა და Curriculum vitae მთავარ ექიმის სახელობაზე.

1036 2—2

ქახეთის რკინის გზის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. დეკემბრის 28-ს დილის 12 საათზე

რკ. გზის სამმართველოში (ქ. ტფილისი, ელისაბედის ქ., № 73).

საჯარო ვაჭრობით გაიცემა გუშვეტები სადგურ ლორის, საგარეჯოსი და გურჯაანისა

1921 წლის 1 იანვრიდან ერთი წლის ვადით.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში მან უნდა შემოიტანოს გზის სამმართველოში ან გამოგზავნოს ფოსტით განცხადება დაბეჭდილ პაკეტში წარწერით: „კახეთის რკინის გზის სამმართველოს კანცელარიაში (ელისაბედის ქ., № 73) ბუფეტების იჯარით გაცემის შესახებ“. განცხადებაზე უნდა ეკრას 4 მანეთის საღერბო მარკები, აღნიშნული იქმნეს გვარი, სახელი, მამის სახელი, რომელ ნობა თანხისა, რომელსაც იძლევა იჯარად მთხოვნელი და აგრეთვე დართული უნდა იქმნას ბარათი გზის სამმართველოს ან სადგურის კასაში წინასწარი საწინდრის შეტანისა სად. ლორის ბუფეტზე 3.000 მან., ხოლო საგარეჯოს და გურჯაანის ბუფეტებზე 5.000 მან.

განცხადება უსაწინდროდ არ განიხილება, ხოლო ვისიც პირობები მიუღებელი იქნება მათ საწინდარი საჩქაროდ დაუბრუნდებათ.

განცხადებები მიიღება 28 დეკემბრის დილის 11 საათამდე. 1034 3-3

კავკასიის აფთიაქის საქონლით მოვაჭრე ამხანაგობის განგეშება ამით აცნობებს.

ამხანაგობის პაეჭის მფლობელთ, რომელთაც ხელი მოაწერეს მე-5-ე გამოცემის პაებზე რომ ამავე გამოცემის პაების დარჩენილი 80 პაი დანაწილებული იქნება მათ შორის ყოველ 9 პაიზე თითო, თუ მათ აქვთ გამოტანილი გამოცემის დროს ღირებული ფასი და განცხადება პაების განაწილებაში მონაწილეობის მიღების შესახებ. მცირე რიცხვი პაების მფლობელებს, რომელთაც განაწილებით არ ეკუთვნით ერთი მთელი პაი, შეუძლიათ შეერთდენ საერთო რწმუნების წერილით და მიიღონ მთელი პაი. უკანასკნელი დრო ფულის შემოტანისა და განაწილებულ პაების მიღების დანიშნულია 1920 წ. დეკემბრის 31. 4257 1—1

ოფიციალური განყოფილება.

კანონი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისა.

1. დაბადების, ქორწინების და სიკვდილის აქტები შეტანილ იქნეს მეტრიკის წიგნებში.

2. მეტრიკის წიგნების წარმოება დაევალება ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოებს.

შენიშვნა: იმ მაზრებში, სადაც თვითმმართველობა ჯერ კიდევ არ არის შემოღებული, წიგნების წარმოება დროებით დაევალება ადგილობრივ ადმინისტრაციას.

3. თვითეულ საქალაქო და სამაზრო ერობის გამგეობასთან არსდება განსაკუთრებული განყოფილება მეტრიკის წიგნების საწარმოებლად. განყოფილების ხელმძღვანელობა დაევალება გამგეობის წევრს.

4. რამოდენიმე სამილიციო უბნად დაყოფილ ქალაქში მეტრიკის წიგნების წარმოება მოეწყობა ყოველ სამილიციო უბანში.

5. მაზრაში მეტრიკის წიგნების წარმოება ყოველ წვრილ საერობო ერთეულთან და სადაც ასეთი არ არის, საკომისარო რაიონში.

6. თუ წვრილი საერობო ერთეული ან სარაიონო კომისარიატი დიდია, სამაზრო ერობის გამგეობას შეუძლია მეტრიკის წიგნების წარმოება მოაწყოს კიდევ უფრო მცირე ერთეულში.

7. ყოველი დაწესებულება თუ თანამდებობის პირი, რომელსაც დავალებული აქვს მეტრიკის წიგნების წარმოება, უშუალოდ ექვემდებარება ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობას კუთვნილებისამებრ.

8. მეტრიკის წიგნების საწარმოებლად განყოფილებათა გამგეებს დანიშნავს და დაითხოვს სამსახურიდან, გამგეობის სათანადო წევრის მიერ წარდგენით, ქალაქის და სამაზრო ერობის გამგეობა კუთვნილებისამებრ.

9. მეტრიკის წიგნების წარმოება მოხდება ორ ცალად, სრულიად ერთნაირად.

10. დაბადების (თუნდაც მკვდარი ბავშვი დაიბადოს), ქორწინების და სიკვდილის ყოველი შემთხვევა, არა უგვიანეს ორი თვისა იმ დღიდან, როდესაც ეს მოხდება, უნდა ეცნობოს სათანადო დაწესებულებას, რომელიც აწარმოებს მეტრიკის წიგნებს. დაბადებისა და გარდაცვალებისათვის განაცხადებენ მშობლები, ნათესავები ან მახლობელნი დაბადებულისა ან გარდაცვალებულისა ან შინაურები, ხოლო თუ უთვისტომოა იმ სახლის ან ბინის პატრონი, სადაც ბავშვი დაიბადა, ან გარდაცვალებული უკანასკნელ დროს სცხოვრობდა, ან იმ დაწესებულების (თავშესაფარი, საპყრობილე და სხვა) უფროსი, სადაც ადგილი ჰქონდა დაბადებას ან გარდაცვალებას, ან ისინი, ვინც მიგდებული ბავშვი ან გვამი იპოვა.

იმ შემთხვევაში, როდესაც ვისმე გარდაცვალება ეჭვს გარეშეა, თუმცა მისი გვამი ნაპოვნი არ არის, მაგალითად, წყალში დაიხრჩო, ან ცეცხლში ან თუ სხვა რაიმე უბედურ შემთხვევის გამო დაიღუპა, ადგილობრივი მილიციის მიერ ამისათვის შედგენილი ოქმის პირი წარედგინება სათანადო დაწესებულებას, რომელიც მეტრიკის წიგნებს აწარმოებს, წიგნებში ჩასაწერად.

ქორწინებისათვის განცხადება შეაქვს დაქორწინებელებს.

უკეთუ მეტრიკის წიგნების მწარმოებელმა თანამდებობის პირმა საეჭვოდ სცნო, სინამდვილის მხრივ, განცხადება, ცნობა ან ოქმი, ვალდებულია შეამოწმოს მათი სინამდვილე, რისთვისაც ყოველი დაწესებულება და თანამდებობის პირი მოვალეა ალმოუჩინოს მას კანონიერი დახმარება.

11. დაბადებისა, ქორწინებისა და გარდაცვალებისათვის ცნობა უნდა ჩაიწეროს მეტრიკის წიგნების ორივე ცალის სათანადო ნაწილებში ერთმანეთზე მიყოლებით, წლის მიმდინარე ნომრების რიგით, და ხელი მოაწერონ, როგორც მე-12-14 მუხლებში აღნიშნულმა პირებმა, ისე თანამდებობის პირთაც, რომლებიც აწარმოებენ მეტრიკის წიგნებს. როდესაც ვისმე არ შეუძლია ხელის მოწერა წერის უცოდინარობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, იმ შემთხვევაში მის მაგივრად, მისივე მინდობილობით, ხელს აწერს სხვა პირი, ან და ამას აღნიშნავს თანამდებობის პირი ვიდრე თვითონ მოაწერდეს ხელს.

შემოკლებით ჩაწერა და ამოშლა აკრძალულია. ყოველი შესწორება ან მიწერა აღნიშნულ უნდა იქნეს აქტში მონაწილე პირთა ხელის მოწერამდე. შესწორება უნდა მოხდეს ისე, რომ შეცდომით და ზედმეტად დაწერილის გარჩევა შეიძლებოდეს.

12. დაბადების აქტში აღინიშნება:

1) წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი დაბადებისა,

2) სახელი და სქესი ახლად დაბადებულისა, და

3) სახელი, მამის სახელი, გვარი, ეროვნება, სარწმუნოება და საცხოვრებელი ადგილი მამის და დედის ან მხოლოდ დედის, როდესაც ბავშვი დაბადებულია უქმრო ქალისაგან. უქორწინებელი მამა ბავშვისა უნდა ჩაიწეროს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თანხმობას განაცხადებს.

დაბადების აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს მეტრიკის წიგნების ორთავ ცალში ბავშვის მშობლების, ან მათი მონაცვლე პირებისა და აგრეთვე დაბადების ერთი მოწმის მიერ (მუხ. 10) მიგდებული ბავშვის დაბადების აქტში აღინიშნება დაბადების დღის ნაცვლად, დღე როდესაც ბავშვი იქნა ნაპოვნი, და დაახლოვებით მისი წლოვანება, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც ნაჩვენებია ამ მუხლის 1-ლ ნაწილში.

13. ქორწინების აქტში აღინიშნება:

1) წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი ქორწინებისა.

2) სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება და წლოვანება თვითეული მეუღლის და აგრეთვე მათი საცხოვრებელი ადგილი.

3) მერამდენე შეუღლებაა ეს თვითეულ დაქორწინებულისათვის.

4) სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი დაქორწინების მოწმეებისა, რიცხვით არა ნაკლებ ორისა. ქორწინების აქტი ხელმოწერილ უნდა იქნეს დაქორწინებულ მეუღლეთა და დაქორწინების მოწმეთა მიერ.

14. გარდაცვალების აქტში აღინიშნება:

1) სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება, წლოვანება და საცხოვრებელი ადგილი გარდაცვალებულისა.

2) წელიწადი, თვე, რიცხვი გარდაცვალებისა.

3) მიზეზი გარდაცვალებისა,

4) თუ მცირეწლოვანი გარდაიცვალა, სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი მისი მშობლებისა.

5) იყო თუ არა გარდაცვალებული დაქორწინებული, და თუ ქმრიანი ქალი ან ქვრივი გარდაიცვალა, სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, გარდაცვალებულის ქმრისა.

6) სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი იმ პირისა, რომელმაც გარდაცვალება განაცხადა. (მუხ. მე-10).

გარდაცვალების აქტს ხელს აწერს ამის მაუწყებელი პირი, ხოლო თუ წიგნებში ჩაიწერება იმ დაწესებულების უფროსის ცნობით, სადაც მომხდარა გარდაცვალება, ან მილიციის ოქმის მიხედვით (მუხ. მე-10), ყოველსავე ამას აღნიშნავს მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი, ვიდრე ხელს მოაწერდეს.

15. ის დამატებითი შენიშვნა, რომელიც უნდა აღინიშნოს მეტრიკის წიგნებში სასამართლოს დადგენილების ძალით, შეტანილ უნდა იქნეს წიგნების ორთავ ცალში აქტის იმ ადგილში, რომელსაც ეხება.

თუ ამ აქტთან არ აღმოჩნდა საკმაო ადგილი, ამ შემთხვევაში, ასეთი შენიშვნა შეტანილ უნდა იქნეს წიგნებში ცალკე მორიგ მუხლად ნომრის აღნიშვნით იმ აქტისა, რომელსაც ეხება, ხოლო ამ აქტთან აღინიშნება შენიშვნის ნომერი.

თუ წიგნის მეორე ცალი უკვე გაგზავნილია შესანახად ოლქის სასამართლოს ნოტარიალ არქივში, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი ჩასწერს შენიშვნას წიგნს ადგილობრივად დარჩენილ ცალში და დაუყონებლივ აცნობებს ამ შენიშვნის პირს სათანადო უფროს ნოტარიუსს. წიგნის მეორე ცალში იმავე შენიშვნის შესა-

16. წლის ბოლოს, არა უგვიანეს შემდეგი წლის იანვრის 15-სა, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი, ვალდებულია დაამთავროს წიგნების ორთავ ცალის თვითეული ნაწილი იქ, სადაც ნაწერი თავდება, იქვე ოქმის ჩაწერით: ამ ოქმში, იმის მიხედვით, თუ წიგნის რომელ ნაწილში იწერება, აღინიშნება, კუთვნილებისამებრ, დაბადებულთა დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა წარსული წლის რიცხვი; შემდეგ წიგნების მწარმოებელი ხელს მოაწერს და წიგნების მეორე ცალს გაუგზავნის სათანადო ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსს არქივში შესანახად.

17. მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი და უფროსი ნოტარიუსი, რომელთაც აბარიათ შესანახად მეტრიკის წიგნების მეორე ცალი, ვალდებულნი არიან მისცენ დაინტერესებულ პირთ სწორი ამონაწერი მეტრიკის წიგნებისა.

18. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების მეტრიკის წიგნებში ჩაწერა და მათი ამონაწერის მიცემა განთავისუფლებულია ყოველივე გადასახადისაგან, გარდა საღერბო გადასახადისა.

შენიშვნა: ამონაწერი გარდაცვალებისა თვის თავისუფალია საღერბო გადასახადისაგანაც.

19. დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მეტრიკის წიგნებში ჩაწერასთან ერთად, მეტრიკის წიგნების მწარმოებელი თანამდებობის პირი, შეადგენს თვითეული ჩაწერილი შემთხვევისათვის, სასტატისტიკო ფურცელს, ყოველთვიურად, არა უგვიანეს 5-სა, წარსული თვის ყველა ფურცლები გაეგზავნება საქალაქო ან სამაზრო ერობის გამგეობას, რომელსაც ბარათის შინაარსი შეაქვს სათანადო სასტატისტიკო რვეულში და შემდეგ ამ ფურცლებს დაუყონებლივ გაუგზავნის ცენტრალ სასტატისტიკო კომიტეტს.

20. ფურცლები მეტრიკის წიგნებისა და ბლანკების სასტატისტიკო ფურცლებისათვის მზადდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ და გაეგზავნება ყოველ წლიურად არა უგვიანეს ენკენისთვის 1-ლისა, ყოველი ქალაქის და სასაზრო ერობის გამგეობას. გამგეობა შეჰკრავს ფურცლებს წიგნებად, დანომრავს, გაუყრის ზონარს. მოაწერს ხელს და დაუგზავნის ორ ცალად, სასტატისტიკო ფურცლების ბლანკებთან ერთად არა უგვიანეს იმავე წლის ნოემბრის 1-ლისა მეტრიკის წიგნების მწარმოებელ ყოველ დაწესებულებას. წიგნის სათაურ ფურცელზე აღინიშნება მისი სახელწოდება, დაწესებულება, სადაც იწარმოებს, და წელიწადი, რომელსაც ეკუთვნის.

შენიშვნა 1: ფურცლები მეტრიკის წიგნებისათვის მზადდება ამ მუხლთან დართული ფორმით.

შენიშვნა 2: პირველად მეტრიკის ფურცლები და სასტატისტიკო ბლანკები დაიგზავნება არა უგვიანეს 1921 წლის მარტის 1-სა. 1921 და 1922 წლებისთვის დამზადდება მეტრიკის საერთო წიგნები და დაიგზავნება არა უგვიანეს 1921 წლის მაისის 1-დისა.

21. დამატკიცებულ საბუთად დაბადების, ქორწინების და გარდაცვალებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ კანონის შემოღების დღიდან, ითვლება ამ კანონის მე-17 მუხლში აღნიშნულ თანამდებობის პირთა მიერ მიცემული ამონაწერი მეტრიკის წიგნებისა.

22. ამ კანონის შემოღებამდე დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მოწმობა და ამონაწერი გაიცემა ძველი წესით.

23. თუ დაბადება, ქორწინება და გარდაცვალება მომხდარა ამ კანონის შემოღებამდე, მაგრამ ძველი წესით ჩაწერილი არ არის მეტრიკის წიგნებში, შეიძლება ჩაწერილ იქნეს ამ კანონით შემოღებული ახალი წესით და ამ შემთხვევაში ამონაწერი მეტრიკის წიგნისა მიეცემა დაინტერესებულ პირთ ამ კანონის მე-17 მუხლის თანახმად.

24. ამ კანონის შემოღების დღიდან ყველა სარწმუნოების სამღვდელოება ეკრძალება იმ საეკლესიო წესების შემრუდება, რომლებიც დაკავშირებულია დაბადების, გარდაცვალების და ქორწინების ფაქტთან (მონათვლა, წინადაცვეთა, ჯვრის წერა, წესის ადება, დასაფლავება და სხვა) იმ პირთათვის, რომლის კანონიერი რეგისტრაციის მოწმობა მისთვის არ წარუდგენიათ.

შენიშვნა: თუ ახლად დაბადებული მძიმე ავადმყოფია, სასულიერო პირს შეუძლია ბავშვის მონათვლა, წინადაცვეთა და სხვ., იმ პირობით, რომ 24 საათის განმავლობაში, დღიდან მონათვლისა, ეს შემთხვევა აცნობოს მეტრიკის წიგნების მწარმოებელ დაწესებულებას.

25. თუ დაბადების, ქორწინების და გარდაცვალების მეტრიკის წიგნებში ჩაწერაზე ვისმე უარი ეთქვა, ან სისწორით არ ჩასწერეს, დაინტერესებულ პირს შეუძლია ორი თვის განმავლობაში, დღიდან უარისთქმისა, ან უწესო ჩაწერისა, ან დღიდან ამის გაგებისა, შეიტანოს საჩივარი სათანადო ქალაქის ან სამაზრო ერობის გამგეობაში, კუთვნილებისამებრ, ხოლო საჩივარი გამგეობის მიმართ შეუძლია შეიტანოს ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილებაში საერთო წესით.

26. ყალბი განცხადებისათვის (10 მუხ.) და ყალბი ფაქტის დამოწმებისათვის (11-13) ან ჩაწერისათვის დამნაშავე დაისჯება, როგორც ყალბი საბუთების შედგენისათვის. ამ კანონის სხვაგვარ დარღვევისათვის, უკეთუ სხვა კანონით უფრო სასტიკი სასჯელი არ არი დადებული, დაისჯება მომრიგებელ მოსამართლეთა მიერ დასადებ სასჯელთა წესდების მე-29 მუხლის ძალით.

27. შინაგან საქმეთა მინისტრი, იუსტიციის მინისტრთან შეთანხმებით, გამოსცემს ინსტრუქციას ამ კანონის განსახორციელებლად.

28. გაუქმდეს ყოფილ რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის მე-1 ტომის, გამოც. 1889 წ., მე-858-988 მუხლები და აგრეთვე ყველა სხვა კანონი, რომელიც ეწინააღმდეგება ამ კანონს.

29. ამ კანონის მოქმედების დასაწყისის ლის განსაზღვრა, მაგრამ არა უგვიანეს ექვსი თვისა დღიდან ამ კანონის მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ, მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

1920 წ. დეკემბრის 3-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება.

საქართველოსთვის ნავთის შეწყვეტის გამო

(საქ. არს. რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიან წარმომადგენლობის ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენიდან.)

მოსკოვი, 9 დეკ. ვინაიდან საქართველოს მთავრობის მოქმედება, რომელიც იმაში, გამოხატა, რომ დაკავებულ აქნა რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენელის სომხეთში—ლეგრანის მატარებელი და აგრეთვე აღკრძალა თავისუფალი ტრანზიტი სომხეთში, არ ეთანხმება რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. დადებულ ხელშეკრულებების მიერ ნაგულისხმევ მეგობრობას და კეთილ მეზობლობას,—ამიტომ ნავთის გატანა საქართველოში ბაქოდან აღკრძალულია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პასუხი.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელმა კ. საბახტარიშვილმა უკანასკნელ ამბების გამო საქართველოს წარმომადგენლებს მოსკოვში, ბაქოში და ერევანში დაუგზავნა შემდეგი რადიო დეპეშა, რომლის ასლი გადაეცა საქართველოს წარმომადგენლებს პარიზში, ლონდონში, რომში, ბერლინში, სტამბოლში, ვარშავაში და აგრეთვე ყველა ადგილობრივ უცხოელ მისიებს.

უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვთ ისეთ ფაქტებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს არა სასურველი გართულება ჩვენსა და ჩვენს მეზობლებს შორის დამყარებული ურთიერთობაში. რ. ს. ფ. ს. რ. უფლება მოსილმა წარმომადგენელმა შეგვატყობინა ჩვენ რომ რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის განკარგულებით შეჩერებულია ადერბეიჯანიდან ნავთის პროდუქტების საქართველოში გატანა. ამასთანავე ა. ს. ს. რ.-კის ფარგლებში შეჩერებულია ჩვენი სამარშრუტო მატარებლები და დატუსაღებულნი არიან ჩვენი რკინის გზის აგენტები. ასეთი განკარგულება წარმოადგენს დარღვევას, ფაქტიურ გაუქმებას იმ სატრანზიტო ხელშეკრულებისა, რომელიც მოკლე ხნის წინად დაიდო ერთი მხრივ საქართველოსა და მეორე მხრით რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. შორის. ჩვენის მხრით კი არცერთ ან არც სხვა ხელშეკრულება არ დაირღვეულა და არ იყო მიცემული არავითარი საბაბი, რომელსაც შეეძლო ასეთი ზომის გამოწვევა. ამავე დროს რესპუბლიკის საზღვრებთან შესამჩნევი გახდა საბჭოთა ჯარების განსაკუთრებული შეჯგუფება და ნეიტრალური ზონის ფარგლებში ფოთლოს ხიდის რაიონში კეთდება ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო ხასიათის სიმაგრეები. ასეთი ზომების მიღება არის პირდაპირი დარღვევა 12 ივნისის თარიღით დადებული აქსტაფის ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც ხსენებულ ზონის ფარგლებში არ უნდა იმყოფებოდნენ რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. შეიარაღებული ძალები. ამას გარდა, ჩვენს ტერიტორიაზე გზების დასაზვერად ბორჩალოს მაზრაში სოფ. არჩიკთან გამოჩნდა საბჭოთა ყაზახთა ჯარების „რაზიეზდი", იმავე დღეს მეორე ცხენოსანმა „რაზიეზდმა" მოახდინა იმავე მაზრის სოფ. კერპილზე თავდასხმა, განაიარაღა და გაცარცვა მთელი სოფელი. ადგილი აქვს საბჭოთა ჯარების კონცენტრაციას აგრეთვე ზაქათალის ოლქის ფარგლებშიც, რაც წარმოადგენს მოსკოვის ხელშეკრულების 12 მაისის დამატებითი შეთანხმების და აგრეთვე აქსტაფის ხელშეკრულების დარღვევას, რომელთა ძალითაც ორივე მხარემ სავალდებულოთ გაიხადეს არ გაეძლიერებინათ ამ ოლქში მყოფი თავისი ჯარები და არ შეეყვანათ შიგ ახალი ნაწილები. და ამ ბოლოს სომხეთის საბჭოთა მთავრობამ ბინაზე დაატუსაღა ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენელი ერევანში—გენ. ყარალაშვილი და მისი მდივანი.

რუსეთის და მასთან მოკავშირე აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობების ყველა ამ მოქმედებისაგან, რომლებსაც აქვთ ადგილი იმ დროს, როდესაც ჩვენის მხრივ არამც თუ არ იყო მიცემული რაიმე საბაბი, არამედ პირიქით, როგორც ეს იყო აღნიშნული ჩვენი მთავრობის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში.

7 დეკ. დამფუძნებელ კრებაში მიღებული იყო ყველა ზომები ჩვენ მეზობლებთან რაც შეიძლება უფრო მჭიდრო კავშირის მისაღებათ, შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს აგრესიულ ხასიათის მზადებებთან, რომლებსაც მიზნათ აქვთ საქართველოზე თავდასხმის მოხდენა.

ვადასტურებ რა კიდევ ერთხელ, რომ საქართველო ძალაში სტოვებს, როგორც სატრანზიტო, ისე ყველა დანარჩენ მის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს, და რომ ის წინანდებურათ, მტკიცედ ადგია კეთილ მეზობლურ ურთიერთობათა დაცვის და ყველა სადავო საკითხების შეთანხმების გზით გადაჭრის პრინციპს ამით გავალებთ თქვენ განუცხადოთ იმ მთავრობას, რომელთანაც თქვენა ხართ მივლინებული, სასტიკი პროტესტი ამ მოქმედებათა წინააღმდეგ და გადასდგათ ენერგიული ნაბიჯები მათი დაუყოვნებლივ სალიკვიდაციოთ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ კ. **ნაბახტარიშვილი.**

12 დეკემბერი 1920 წ.

დამფუძნებელი კრება

ს. კედიას სიტყვა. 14 დეკემბრ. სხდომა

მე არა მაქვს მიზნათ ყველა მინისტრებს შევეხო. მე მხოლოდ ზოგიერთ მინისტრებს შევეხები. ავიღოთ ჯერ სურსათის საქმე. თქვენ იცით, რომ სურსათის საქმე პირველია. ამ დარგში მთავრობას არც წინეთ და არც ახლა არა აქვს სათანადო აპარატები. ამ საქმეს სათავეში უდგას ბ. ერაძე. თქვენ იცით, რომ ამ უწყებამ მონაპოლიები ცუდათ ჩაატარა. ავიღოთ თუნდაც თამბაქოს მონაპოლია. წინეთ საქართველოში მოდიოდა 800 ათასამდე ფუთი თუთუნი, წელს საქმე ისე გაფუჭდა მონოპოლიის წყალობით, რომ 40—50 ათასი ფუთი თამბაქო თუ მოდის (ლ. ნათაძე: საბუთი?). თქვენთვის საბუთებმა დაკარგეს დამარწმუნებელი თვისება (ლ. ნათაძე: ეს ხომ საბუთი არ არის). ამის შესახებ შემდეგ გვიჩვენება ლაპარაკი (ნათაძე: ჯერ დასკვნას ამბობთ, შემდეგ კი საბუთებს მოვიყვანო, ეს არ შეიძლება). მომარაგების სამინისტროს დღემდე დამფუძნებელ კრებაში არ წარმოუდგენია არავითარი საბუთი იმისა, თუ რა გეგმები აქვს, როგორ მოქმედობს, რა შტატები ყავს, რა პერსპექტივები აქვს და სხვ. მე ხელთ მაქვს ერთი საბუთი, რომელიც მოწმობს თუ როგორ ებრძოდა მომარაგების სამინისტრო სახელმწიფო კონტროლს. აქ ორატორი კითხულობს ამ ორ ორგანოს შორის არსებულ მიწერ-მოწერას და დაასკვნის, რომ მომარაგების სამინისტრო ანგარიშს არ უწევს დამფუძნებელი კრების მიერ არჩეულ კონტროლს, სამინისტრო ამბობს, რომ მომარაგების სამინისტრო სულ სხვა ხასიათისაა, მან მეტოქეობა უნდა გაუწიოს ვაჭრებს ბაზარზე და არ შეიძლება მისი დაქვემდებარება სახელმწიფო კონტროლის ფაქტიური და წინასწარი რევიზიის წესისათვისო. ამ საბუთებიდან თქვენ ხედავთ, ამბობს ორატორი, რომ მომარაგების სამინისტრო გაურბის კონტროლს. გარდა ამისა ხდება აშკარა ბოროტ-მოქმედებები და ბ-ნი ერაძე არავითარ ზომებს არ იღებს მის წინააღმდეგ. აი, მაგალითად, სამინისტროს მოხელე, ვინმე კახელაძეს, რევიზიის დროს დაჭკლდა 540 ფუთი „მანნი კრუპა", სამარათალში მიცემის მაგივრად ეს კახელაძე უკეთეს ადგილას დაინიშნა. გორის მაზრაში სამინისტროს რწმუნებულ ვინმე შანშიაშვილსაც დააკლდა 412 ფუთი ბრინჯი. არც ის დაისჯა ბოროტმოქმედებისათვის. შემდეგ ავლაბრის საწყობის გამგეთ ვიღაც ტერ-კარაპეტიანცს და კუზანიანცს დააკლდათ 205 ფუთი ბრინჯი, არც მათ წინააღმდეგ ყოფილა მიღებული ზომები. მაგრამ ჩვენ დღემდე არ გვსმენია მომარაგების სამინისტროს მიერ ამ ფაქტების უარყოფა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები პრესაში იყო გამოქვეყნებული და საზოგადოებრივი აზრი მოითხოვდა ერთნაირ პასუხს. გარდა ამისა მომარაგების სამინისტროს მოხელენი ღებულობენ უდიდეს ჯამაგირებს. მაგ. 25, 30 ათასს მანეთს. იგივე კახელაძემ, გარდა მაღალი ჯამაგირისა, ორი თვის განმავლობაში პროცენტების სახით 200 ათასი მან. მიიღო ჯილდოთ ერაძისაგან. ვინ მისცა ამის უფლება ერაძეს? დამფუძნებელ კრებას მისთვის ასეთი უფლება არ მიუცია. ეს იცის ერაძემ და მაინც სჩადის ამას. ეს არის თვითნებობა და ასეთი თვითნება მინისტრი არ უნდა დაეტოვებინათ თავის პოსტზე. შემდეგ ორატორი აკრიტიკებს იუსტიციის მინისტრის მოლვაწეობას და ამბობს: მე ძალიან გამეხარდა, როცა იუსტიციის მინისტრად რ. არსენიძე დაინიშნა, რადგანაც მე მას ვიცნობდი მისი პოლიტიკური გამოსვლებით და ვიცნობდი ძლიერ კარგის მხრივ. სამწუხაროდ ბ. არსენიძემ ვერ გაამართლა იმედები და დავალებები. მან სამართლის საქმე ვერ წაიყვანა ისე, როგორც ამას სასამართლოს ინტერესი მოითხოვდა. მოვიყვან რამოდენიმე ფაქტს. ვიღაც ქოშიცის ქალმა ქურდობა ჩაიდინა, მისი საქმე გამოძიებაში იყო. საქმეში ჩაერია იუსტიციის მინისტრი იმ მიზნით, რომ საქმე მოესპოთ. მან დაიბარა გამომძიებელი და მას წინადადება მისცა საქმე მოსასპობათ წარმოედგინა. გამომძიებელმა უთხრა წინადადება წერილობით მომეცითო, მინისტრმა წერილობითი წინადადება არ მისცა და გამომძიებელი წავიდა. შემდეგ მინისტრმა სხვა საშუალებები მიიღო, რომ საქმე მოესპოთ. ბოლოს პროკურორ სიდავამ ამ საქმეს წააწერა დასკვნა, რომლითაც საქმე უნდა მოსპობილიყო. თუ ეს უკანასკნელი მართალია, მაშინ არსენიძე მინისტრად არ უნდა დარჩენილიყო. ყოველ შემთხვევაში მე ველი განმარტებას. გარდა ამისა მინისტრი არსენიძე სრულებით არ იცავს თავის მოხელეების ინტერესს.

იყო ასეთი ფაქტი. ლაგოდეხში მოსამართლედ დაინიშნა ვინმე ფავლენიშვილი, რომელსაც იმავე დროს გენერალური შტაბი აძლევს რაღაც დავალებებს. ლაგოდეხში ჩასვლისთანავე მეორე დღეს ამ ფავლენიშვილს ადგილობრივი გვარდია აპატიმრებს, მას სწამებენ ჯაშუშობას. ამ კაცის სიცოცხლე განსაცდელშია ჩავარდნილი, ეს ეცნობა იუსტიციის მინისტრს, მაგრამ ის არავითარ ზომებს არ იღებს თავის მოხელის დასაცავად. მხოლოდ გენერალურმა შტაბმა გადაარჩინა ის ფავლენიშვილი.

დავა იყო სოხუმის ეროვნულ საბჭოს და კერძო ამხანაგობა „აგაპო" და „არგო"-ს შორის, საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოს წესით, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრი იბარებს ამ ამხანაგობებს და ეუბნება: თუ საქმე არ მოსპეთ თქვენ უარესი დაგემართებათო, ვიდრე იმ სპეკულიანტებს, რომელიც ჩვენ დავიჭირეთო. ეს ხალხი ამის შემდეგ განზე დგება და საქმე ისპობა. ავიღოთ თუ გნებავთ ჟურნალისტ თუმანიშვილის საქმე, მას მთავრობამ 6 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა უკანონოდ. არც ერთ ამ საქმის შესახებ იუსტიციის მინისტრს არ აუმაღლებია თავისი ხმა და არ დაუცავს სამართლის ინტერესები. ორატორი აღნიშნავს, რომ მთავრობა იმდენად უძლურია, რომ ს. მუხრანსკში განდგომილ ეემის თავმჯდო-

მარის ჭკუაში ჩაყენება ვერ შესძლო და თემის თავმჯდომარემ არ აღასრულა სასამართლოს დადგენილებაო. დასასრულ ორატორი ამბობს, რომ საქართველოს საქმეები მოითხოვს უკეთესი შემადგენლობის მთავრობასო.

იუსტიციის მინისტრის რ. არხენიძის პასუხი.

მე არ ვილაპარაკებ აქ არც იმ საერთო პროგრამაზე, რომელსაც ანხორციელებს იუსტიციის სამინისტრო, არც საერთო ჩემს მოღვაწეობაზე ამ ერთი წლის განმავლობაში. თუ დრო და საშვალება მექნება ამ ერთი წლის მოქმედების შესახებ ანგარიშს შემდეგ წარმოგიდგენთ.

ამ ჟამად კი საჭიროდ მიმაჩნია პასუხი გავსცე ზოგიერთ ფაქტებზე, რომელიც იყო წამოყენებული, როგორც ბრალდება.

პირველი საქმე შეეხებოდა ვინმე კოშიცის ბოროტ-მოქმედებას. დღეს აქ ჩემზე მიიტანეს იქვი, თითქოს მე ამ საქმე'ში ჩავერიე იმ მიზნით, რომ ეს საქმე მომესპო. ეს სრულებით არ შეეფერება სიმართლეს. მე ძალიან ვწუხვარ, რომ დამფუძნებელი კრების ზოგიერთი პატივცემილი წევრი შეცდომაში შეუყვანია ისეთ პირებს, რომელნიც ამ დღეებში საბრალმდებლო სკამზე უნდა დაჯდენ. როდესაც ამ ბოროტმომქმედის ნალაპარაკევი აქ ტრიბუნაზე გამოაქვთ, მე ძალა უნებურათ ეჭვი მებადება, მართლა ეს წინასწარ აქტი ხომ არ არის იმის, რაც შემდეგ მის გასამართლებლად უნდა იქნეს, ან ხომ არ ფიქრობენ, რომ ამით ამ ბოროტმომქმედს წინასწარ დაცვა ნიადაგი მოუმზადო? მე ასეთი ეჭვი დამებადა ამ ფაქტის ტრიბუნაზე გამოტანის შემდეგ. მაგრამ, ნება მიბოძეთ, რადგანაც კოშიცის საქმე დამთავრებულია, და შემიძლია ფაქტებით ვისარგებლო, რამდენიმე ფაქტი აქ მოგახსენოთ.

ზეპირად არ მახსოვს, ვინ'დან არ წარმომედგინა, რომ პატივცემული დეპუტატი აქ, ჩემ წინააღმდეგი ასეთ ფაქტს გამოიყენებდა. ჯერ ერთი, რომ მინისტრმა გამოიწვია გამომძიებელი, და პირის პირ ელაპარაკა. დიახ, ეს შესაძლებელია, ხანდა ხან ვიბარებ ხოლმე გამომძიებლებს, ვეკითხები, როდესაც ამას საქმის გარემოება მოითხოვს, მაგრამ, არასოდეს გამომძიებლისათვის პირადათ არავითარი განკარგულება არ მიმიცია. ხვათა შორის, არ მიმიცია არც ამ პირისათვის, მე ვეცნობოდი საქმეს, ან პროკურორის საშუალებით, ან მას გადავცემდი რომ ეხელმძღვანელა. მინისტრი კალდებული არ არის ჩაერიოს საქმეში და არც ამ საქმეში ჩავრეულვარ. ამ საქმის შესახებ დადიოდა ხმა, რომ გამომძიებელი ცალ მხრივად აწარმოებს გამოძიებას, რომ ქვეფობს მოპირდაპირესთან ეს მე მამცნეს სასამართლოს წევრებმა, მათ შორის ერთმა პროკურორის ამხანაგმა, და როდესაც მეორე ცნობა მივიღე, რომ გამომძიებელი ართმევს კოშიცს ხელწერილს, რომ მომეცი პირობა, რომ შანტაჟს არ მაბრალებს, მე დამებადა ეჭვი—რადგან პირდება გამომძიებელს, რომ ბრალდებულს ხელწერილი ჩამოართვას, არაფერი ბრალი არ დამდოს. ეს დოკუმენტი კოშიცის მიერ ხელმოწერილი მე ვიპოვნე, ცალკე ძიების შემდეგ, სადაც ის არ უნდა ყოფილიყო, და ინახება პროკურატურაში. უნდა ეს გამომეძია, თუ არა, განა არ იყო ეს ჩემი მოვალეობა?

მე ვამბობ, რომ ეს პირდაპირი ჩემი მოვალეობა იყო. (ტაში).

და თუ ამას დანაშაულათ ჩამითვლით, დეე დანაშაული იყოს.

(გ. გვახავა საქმე მოსპობილი არის?) დიახ, საქმე მოსპობილია და აი როგორ: როდესაც საქმე დათავდა მე დავეკითხე პროკურორს მის შესახებ და მან განაცხადა, რომ პროკურორის ამხანაგმა უკვე დაწერა საბრალმდებლო აქტი, მაგრამ იმდენად უსაბუთო არის რომ სასამართლო არ მიიღებსო. მე მას არ დაუჯერე, მოვიწვიე ყველა პროკურორები ტფილისის ყველა სასამართლოების: სენატის, სასამართლო პალატის და ოლქის სასამართლოსი და რამდენიმე გამოცდილი წევრი სასამართლოსი. მე უთხარი მათ, რომ ამ საქმეს რაღაც დამპალი ძირი აქვს, და გამოსთქვით თქვენი აზრი. ყველამ ერთად წაიკითხა საქმე, გაეცნენ მას, და სთქვეს თავისი აზრი და ამ რამდენიმე კაცში, მხოლოდ ერთმა კაცმა, პროკურორის ამხანაგმა სთქვა, რომ ჩვენ ნუ მოვსპობთ ამ საქმეს, სამართალში მიმცემმა მოსპობსო. ბოლოს ერთმა დამსწრეთაგანმა სთქვა, რომ ყოველ შემთხვევაში ეს საქმე უნდა წარუდგინოთ კამერას, თვითონ მოსპობსო, მაგრამ პროკურორებმა ეს არ ისურვა თუ საქმე მისასპობია, მე უნდა მოსასპობლათ წარვადგინო და არა გასასამართლებლათო. მაშინ საქმე გადაეცა მოსასპობად ოლქის სასამართლოს, რომელიც დაეთანხმა პროკურორის დასკვნას და საქმის მოსპობა დაადგინა.

მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა ეს დადგენილება ოლქის სასამართლოში პალატაში, ხოლო უკანასკნელმაც დაადასტურა ეს დადგენილება. ეხლა მე თქვენ გეკითხებით, როდესაც სასამართლოს ორივე ინსტანციამ დაადასტურა საქმის მოსპობა, ეს იუსტიციის მინისტრის მიერ არის მოსპობილი თუ სასამართლოს მიერ? (ხმა: ასეთი არის თქვენი სამართალი, ასეთი არის კოშიცის საქმის ნამდვილი სიმართლე). რაც შეეხება კოშიცს, პირადად არავითარი ნაცნობობა მასთან არ მაქვს, მხოლოდ მე ის საბუთები მქონდა, რომლებზედაც მოგახსენეთ და ამ საბუთების გამო აღმეძრა ეჭვები ამ გამომძიებელზე და თქვენ იცით, რომ ეს გამომძიებელი სენატის დადგენილებით პასუხისგებაში არის მიცემული მექრთამეობისთვის. (ტაში) (კედია: დიახ, ამაზე ვილაპარაკოთ შემდეგ) იუსტიციის მინისტრი არ აძლევს პასუხისგებაში გამომძიებელს, პასუხისგებაში აძლევს მას სენატი ოლქის სასამართლოს წარდგენით, სადაც იუსტიციის მინისტრმა გადასცა მასალები და ამ რიგად სენატმა მისცა ეს გამომძიებელი პასუხისგებაში. ბ-ნო სპ. კედია, თქვენ არ უნდა დაუჯეროთ ამ ბოროტმომქმედის ჭორ ყოლიც ამბებს, სჯობს მოუცადოთ სასამართლოს დადგენილებას, მის მსჯავრს და წინასწარი ვეჭილობა არ დაიწყოთ, როდესაც, საქმემ დაგანახვოს და დაგიმტკიცოს, მაშინ სთქვით, რომ იუსტიციის მინისტრი არ იქცევა რიგიანად ამ საქმეში.

შემდეგ მე მაბრალებენ, რომ მე არ დავიცავი ზოგიერთი მომრიგებელი მოსამართლენი, მოიყვანეს მაგალითად ერთი მომრიგებელი, რომელიც გაგზავნილი იყო ლაგოდეხში. მე ეს ამბავი კარგად ვიცი. ხანდახან მე იძულებული ვხდები დავნიშნო მომრიგებელ მოსამართლეთ, როდესაც მათი სათანადო რიცხვი ერობის ყრილობისაგან არჩეული არ არის. ეს შეადგენს კანონით იუსტიციის მინისტრის მოვალეობას. სამწუხაროდ ძნელია შოვნა ისეთი პირებისა, რომელნიც შეეფერებიან თავიანთ მოვალეობას. და მე ხშირად მახდება სენატის საშუალებით ამა თუ იმ მოსამართლის გადაყენება.

როდესაც მე გავიგე, რომ ის მომრიგებელი მოსამართლე სხვა და სხვა პირების ცნობით, სიტყვით და თქმით, იუსტიციაა და მცოდნე კაცი იყო, გავგზავნე ლაგოდეხში და შემდეგ გავიგე, რომ მას სამხედრო შტაბის აგენტის როლი ეკისრა. როგორ უნდა დამეცვა მე ის აგენტი, რომ ვერ გამირკვევია რა როლში დაიჭირეს გვარდიელებმა: სამხედრო აგენტის, თუ მომრიგებელ მოსამართლის როლში? ამის გარკვევა არც ისე ადვილი იყო. და მე მაინც მივიღე ზომები, რომ ის საფრთხეში არ ჩავარდნილიყო, მე მივეცი დეპეშა, რომ ის მომრიგებელი მოსამართლეა და ნუ დაიჭერთქო. მართლაც იქ ის გაანთავისუფლეს, მაგრამ მისი მომრიგებელ მოსამართლის ადგილზე იქ გაჩერება არ შეიძლებოდა (ტაში); მან თითონ დაანება თავი მომრიგებელ მოსამართლეობას და არ დაბრუნდა სენატში შუამდგომლობის შეტანა.

(დასასრული იქნება)

მთავრობაში.

ყველა სამინისტროებს, ხახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, ქალაქთა და ერობათა კავშირების ცენტრალურ კომიტეტებს.

რესპუბლიკის სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში მრავალი ხელშეკრულებები იღება სამუშაოს იჯარით გაცემის და საქონლის ნარდათ ჩაბარების შესახებ. ყოველ ცალკე შემთხვევაში, ასეთ ხელშეკრულების დადების დროს მონარდეს ამ საქონლის ჩამბარებელს უნდა მოეთხოვოს სასარეწაო მოწმობის წარმოდგენა და მისი ღირებულება. ამ პირობათ დაწესებულებანი იშვიათად ასრულებენ გარდა ამისა, ეს იჯარები და საქონლის ნართათ ჩაბარება დაუბეგრავი რჩება დამატებით სასარეწაო გადასახადით, რადგან მათ შესახებ გადასახადთა სამმართველოს წინააღმდეგ პირდაპირ გადასახადის წესდების 492 მუხლისა არ ეგზავნება საჭირო ცნობები, რაც დიდ ზარალს აყენებს ხაზინას.

ზემოაღნიშნულის გამო ვუბრძანებ ყველა სახელწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათ, რომელნიც რაიმე სამუშაოს ნარდი გაცემით და იჯარით აწარმოებენ, ან იბარებენ რაიმე სანოვაგეს და სხვა საქონელს, აუცილებლივ მიაწოდონ გადასახადთა სამმართველოს საჭირო ცნობები, რომ შესაძლებელი გახდეს ამ გვარი წარმოების დაბეგვრა სასარეწაო გადასახადით. თუ ძირითადი სასარეწაო გადასახადი დაჭერილი არ იქნება საიჯარო პირობის დადების დროს და ის შემდეგშიც შეტანილი არ იქნება ხაზინაში მოიჯარადრის მიერ, პირდაპირი გადასახადების დეპარტამენტს 1908 წ. 7 აპრილის №3595 განმარტების თანახმად, ამ გადასახადს შეიტანენ ხაზინაში ის დწესებულებანი და პირნი, რომელთაც თავის დროზე არ დაუჭირეს მოიჯარადრეებს აღნიშნული გადასახადი.

მთავრობის თავ. მოად. **გ. ლორთქიფანიძე.**

მიმალმებანი მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარის სახელზე შემდეგი მისასალმებელი დეპეშები მოვიდა: ძვირფასო ხელმძღვანელო მოგილოცავთ საქართველოს დიდ დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ისეთ მშვენიერ ხელმძღვანელობას, როგორც აქამდის. ჩვენ კი ვდგევართ და ვიდგებათ საზღვრებზედ. აქედან ფიცსა ვსდებთ თქვენს წინაშე, რომ არავის უფლებას არ მივსცემთ ჩვენი საზღვრების და წესწყობილების შელახვასა. გაუმარჯოს ჩვენს დამოუკიდებლობას და მის მშვენიერ ერს. მესამე თბილისის ბათალიონის უფროსი ლომთათიძე.

— ფრონტზე მდგომის სამეგრელოს პირველი ბათალიონის გვარდიელები გილოცავთ გვარდიის დღეს. აღთქმას ვსდებთ თქვენს წინაშე, რომ პირნათლად შევასრულოთ დაკისრებული მოვალეობა. მინდობილობიდ როგავა.

— ბორჯომის გვარდია მზათაა მთავრობის პირველ მოთხოვნილების თანავე ღირსეული პასუხი გასცეს მომხდურ მტერს. ბორჯომის შტაბი.

— მანგლისის რაიონის ხალხი განურჩევლად ეროვნებისა და რწმენისა სრული შეგნებით ვდღესასწაულობთ გვარდიასთან და ჯართან ერთად გვარდიის სამი წლის არსებობის ისტორიულ დღეს. მოგესალმებით მშრომელი ხალხის ჭაღარა ბელადს და ფიცსა ვსდებთ მუდამ მზათ ვიქნებით შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში თავი გავსწიროთ მშრომელ ხალხის საკეთილდღეოთ.

— მეჯვრისხევის რაიონის სახალხო გვარდიელები შეკრებილი ყაზარმაში გილოცავთ 12 დეკემბერს ჩვენო უხუცესო ბელადო. იყავით ხხნეთ. უკანასკნელის სისხლის წვეთამდე დავიცავთ თქვენ ბრძნულ პოლიტიკას.

— გილოცავთ გვარდიის დღეს მცხოვანთ და ძვირფასო ბელადო საქართველოს დემოკრატიისვე, ეკატერინეფელდში მყოფნი გვარდიელები და ჯარი გიცხადებთ, რომ ყოველი ჩვენგანი იქნება ისეთი სასტიკი და თავგანწირული მტერთან ბრძოლაში როგორიც იყო სანდრო მაისურაძე და მისი ამხანაგები 1918 წელს 19 დეკემბერს. თქვენი ხელმძღვანელობა, დახოცილ ამხანაგებთა მოგონება, და ისტორიული ადგილი სადაც ეხლა ჩვენ ვდგევართ თავდებია იმისი, რომ საბოლოთ გამარჯვება ჩვენი იქნება. გაუმარჯოს საქართველოს მუშათა კლასს და მისს ხელმძღვანელს. ერეთის რაიონის შტაბი და მასთან დემოკრატია ჩვენი პატარა კუთხისა ვისურვებთ გაორკეცებულ მუშაობას ჩვენი საყვარელი საქართველოს რესპუბლიკის საკეთილდღეოთ, სულით და გულით თქვენთან ვართ, ფიცსა ვდებთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცვათ სუვერენობა და დემოკრატიული ფორმა საყვარელი საქართველოსი. ერეთის შტაბი.

— საჩხერეში გვარდიის დღესასწაულის აღსანიშნავად შეკრებილი მრავალ რიცხოვანი მიტინგი მხურვალე სალამს უძღვნის თავისუფლების დამცველ ფრონტზე მყოფ ჯარსა და გვარდიას. ულოცავს დღესასწაულს გვარდიის მთავარ შტაბს, მთავრობას და დამფუძნებელ კრებას და აღუთქვამს, რომ მთელი ხალხი მათთან იქნება რევოლიუციონურ მონაპოვარის დაცვაში.

ანგორის მთავრობა და საბჭოთა რუსეთი.

ელჩის დანიშვნა.

14 დეკ. ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების სრულ უფლებიან წარმომადგენლის ცნობით, ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების მთავრობას განსაკუთრებულ ელჩათ მოსკოვის მთავრობასთან დანიშნულია ყოფილი უფროსი დასავლეთის ფრონტისა—ალი ფუად-ფაშა.

ქიაზიმ-ბეის განცხადება.

ბეჭდვითი ბიურომ მიიღო შემდეგი განცხადება საქართველოს მთავრობასთან მყოფ ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების სრულუფლებიან წარმომადგენლისა:

„ჩვენი მტრები, რომლებიც შეშინებულნი არიან ანატოლიასა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებულ მეგობრულ და გულწრფელ დამოკიდებულებით მიმართავენ ყოველგვარ ინტრიგებს, რომ ეს ძლიერი კავშირი ჩაშალონ. აწერენ რა ოსმალეთს ისეთ მისწრაფებას, თითქოს მას უნდოდეს თავდასხმის მოწყობა ადერბეიჯანზე,—ისინი, დაშნაკების მთავრობის დაცემის შემდეგ ცდილობენ ჩვენ წაგვკიდონ რუსეთს. ჩვენ შეურიგდით სომხეთს; მაშასადამე, ეს ბოროტი პროპაგანდა მოჭორილი ამბავია.

იმდენათვე, რამდენადაც ანატოლიას ჰსურს თავისუფალი განვითარება ყველა ხალხებისათვის, ასეთივე განვითარება ჰსურს მას ადერბეიჯანისათვ საც. მე დარწმუნებული ვარ, რომ განზრახული თათბირი საბჭოთა რუსეთსა და ანგორის მთავრობას შორის შესაფერ შედეგებს მიაღწევს, რომელიც დააკმაყოფილებს ორივე მთავრობებს.

მე დავალებული მაქვს ოფიციალურად განვაცხადო, რომ დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების შორის მეტად გულწრფელია და რომ ორივე დასახელებული მთავრობები ყურს არ ათხოვებენ ასეთ უნიადაგო ხმებს.

მესაფა ქემალის რადიო ლენინს.

14 დეკემბერი. (რადიო). ამხ. ლენინს. რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის საბჭოთა კომისრების წარმომადგენელს, მოსკოვი. ამხ. თავმჯდომარე! მოსკოვის რადიომ გვაცნობა ჩვენ საბჭოთა რუსეთის მიერ დაღესტანის დამოუკიდებლობის ამბავი. მე ეჭვიც არ შემაქვს, რომ საბედნიერო გადაწყვეტილებას საუკეთესო გავლენა ექნება ბალშევიკურ და მუსულმანურ ქვეყნების დასაახლოვებლად და ამით კიდევ უფრო დაგვიახლოვებს ჩვენს საერთო მიზანს, რომელიც გამოიხატება დასავლეთის იმპერიალიზმის ჩამოგდებაში, რომელიც ამავე დროს საფუძველია თანამედროვე კაპიტალისტური წყობილების. მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ თანამშრომლობა მიგვაღწევინებს ჩვენ ამ სასუოველ შედეგამდე და მიხარის ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს მჭიდროთ შეკავშირებას. გიცხადებ მადლობას იმ შორსმჭვრეტი პოლიტიკისათვის, რომელსაც თქვენი ხელმძღვანელობით აწარმოებს აღმოსავლეთში რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა. მე დარწმუნებული ვარ სიმართლის გამარჯვებაში და გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარე, მიიღოთ ჩემგან ღრმა პატივისცემა. ოსმალეთის ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარე.

მოკალაკის შენიშვნები

ახალი და ისევ ძველი შარები.

ძველი, თვითმპყრობელი რუსეთის მთავრობის დროსაც კი არ ვყოფილვართ ჩვენ ისე აგდებული და გამასხარავებული როგორც ახლა, ბალშევიკური რუსეთის დროს.

დაგვცინის საბჭოთა რუსეთი, როგორც სიტყვიერად, ისე პრესის საშუალებით.

ჩვენ შესამკობლად ბოლშევიკურ პრესაში ყოველ დღე ახალ ახალ როგოროც ლიდერების, ისე წვრილ ფეხა რუსი მარგალიტი ეპიტეტები ითხზება, მაგრამ რა გაეწყობა, ჩვენ ბოლშევიკებს მეტი ლიტერატურული ეთიკისა და რივიანობის დაცვას ვერ ძოვთხოვთ, მაგრამ როცა ეს „იდეური“ ბრძოლის მეთრდი ოფიციალურ პრესაშიაც კი გადაქვთ, არ შეგვიძლია მას ანგარიში არ გაუწიოთ.

ვფიქრობდით იმ ზავით, რომელიც საქართველოსა და რუსეთ შორის დაიდო, დემოკრატიული საქართველო და სოციალისტური რუსეთის შორის კეთილ-მეზობლური განწყობილება დამყარდებოდა. მაგრამ ამაოდ.

ჩვენ არა ერთი მაგალითი მოგვიყვანია იმის დასამტკიცებლად, თუ რა „მეგობრობა“ გაუწია საქართველოს რუსეთში არსებულმა ამა თუ იმ გაზეთმა, გინდ საზოგადო თუ სახელმწიფო ხოკიერთმა მოღვაწეებმა, მაგრამ პასუხად მივიღია იმავ საბჭოთა რუსეთის პასუხისმგებელ მესვეურთაგან, რომ ესენი არ გამოხატავენ საბჭოთა მთავრობის აზრსო.

ჩვენ ბევრი „ოფიციალური“ სიყალბე წაგვიკითხავს აგრეთვე ბოლშევიკურ გაზეთებ-

ში, მაგრამ ამ ჟამათ გვინდა მიუთითოთ მკითხველს ერთ-ერთ ასეთ არა მეგობრულ, პირდაპირ მტრულ მაგალითზე.

მოსკოვის „იზვესტიის“ მე 244 (1091) ნომერში, იმ „იზვესტიის“ რომელიც ითვლება სრულიად რუსეთის მუშათა, გლეხთა, ყაზახთა, წითელ არმიელთა ცენტრალური კომიტეტის ორგანოთ და ავრეთვე მოსკოვის მუშათა დეპუტატების და წითელ არმიელთა ორგანოთ,—მოთავსებულია საქართველოსადმი მტრობით გაჟღენთილი და სიცრუით სავსე წერილი. ეს გაზეთი საბჭოთა რუსეთის უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულების, მთელი რუსეთის ბატონ პატრონის ორგანოა და რაც აქ დაიბეჭდება, ის უეჭველად ანგარიშ გასაწევია.

ჩვენ მთავრობის იმ ლანძღვა-თრევას, რომელიც შეიცავს გ. უსტინოვის წერილის დიდი ნაწილი და რომელსაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენი კეთილი მეზობელის და მეგობარი სახელმწიფოს ოფიციალურ ორგანოში, აქ არ მოვიყვანთ.

მოვიყვანთ მხოლოდ წერილის იმ ადგილს, სადაც ლაპარაკია ბათომის შესახებ და საქართველოში არსებული საბჭოთა რუსეთის ვითომ დამანგრეველი ძალებზე. აი რას სწერს სხვათა შორის ბ-ნ გ. უსტინოვი:

„საქართველოს მთავრობა—ხელს აწერს რა ქაღალდზე, მოქალაქე მახარაძის სრულ უფლებიან წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ საბჭოთა მოსკოვში, ქართული გამოშტერებული საზოგადოებრივი აზრის ზურგს უკან მეორე ხელით აძლევს და ჰყიდის (предаетъ и продаетъ) ევროპის იმპერიალისტურ მტაცებლებს **რუხეთის ქალაქებს და მთელ ოლქებს.** (ხაზი ჩვენია).

„გენუის კონფერენციის ისეთ „საუცხოვო პოლიტიკურ შედეგებს“ მიაღწია ევროპაში, რომ ინგლისელებს აძლევს ბათომს (თითქოს იჯარით), ეკურკურება ინგლისის ბურჟუაზიის აგენტებს—სომხის „პატრიოტებს“ დაშნაკელებს, ინახავს და არჩენს საქართველოს ხალხის ხაზინის ხარჯზე ვილაც „მთიელთა მთავრობას“, რომელიც ხელმძღვანელობს ყაჩაღთა ბანდებს წითელ საბჭოთა დაღესტანში“.

შემდეგ წერილში ლაპარაკია აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება ჩვენი მთავრობა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ვრანგელს და ასე თავდება: „საქართველოს მთავრობის ყოველგვარი მოქმედება ჩვენ უნდა გვესმოდეს, როგორც პოლიტიკური შულერობა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიისა“.

იმ ქალაქს და ოლქს, რომლებიც საზავო ხელშეკრულების ძალით საბჭოთა რუსეთის მთავრობამ საქართველოს უდავო ნაწილად აღიარა, ეხლა მისი ოფიციალური ორგანო რუსულ ქალაქად და ოლქად აცხადებს...

იგივე ოფიციალური ორგანო შარიანობს, თითქოს საქართველოს ტერიტორიაზე თავს იყრიდეს, საქართველოს მთავრობა ასულდგმულებდეს საბჭოთა რუსეთის დამანგრეველ ძალებს.

ასეთია საბჭოთა რუსეთის, როგორც ოფიციალური, ისე არა ოფიციალური ახალი, მაგრამ ისევ ძველი შარები...

ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს, თუ რას ისახავენ მიზნათ ასეთი მუშაობით რუსეთში: ეს არის რუსი ხალხის წასისიანება საქართველოს წინააღმდეგ.

აი როგორ ცდილობენ საბჭოთა რუსეთის გმირები ჩვენსა და რუსეთის დემოკრატიის შორის სოლიდარობის განმტკიცებას.

მოქალაქე.

სამხატვრო ქრონიკა.

◆ **ბეთხოვენის ხალამო.** დღეს სახელმწიფო პირველ თეატრში დიდებულ კომპოზიტორ ბეთჰოვენის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავად გაიმართება დიდი სიმფონიური კონცერტი-საღამო პიანისტ ბოროვსკის და ვიოლონჩელისტ ბელოუსოვის მონაწილეობით.

◆ **მსახიობ ა. იმედაშვილის ავადმყოფობა.** ქართულ დრამის მსახიობ-პრემიერი ალ. იმედაშვილი ფილტვების ანთებით ავად შეიქმნა.

◆ **დახმარება ვ. აბაშიძეს.** ამიერ-კავკასიის ბანკის მოსამსახურეებმა დაადგინეს თავიანთ თვიურ ჯამაგირიდან ყოველ თვიურად დამსახურებულ მსახიობ ვასილ აბაშიძის პატივსაცემლად გადასდონ ერთი პროცენტი, რაიც თვიურად შეადგენს 17.000 მან.

◆ **იტალიელი მომღერლები.** ახლო მომავალში ტფილისში ჩამოვლენ იტალიელი მომღერლები, რომლებიც სახელმწიფო საოპერო თეატრში მიიღებენ მონაწილეობას.

◆ **აკ. პაპავას მოთხრობები.** „საქართველოს სახელოვნო ცენტრი“ ახლო მომავალში გამოსცემს აკ. პაპავას მოთხრობათა კრებულს „სოლელილ დორი-“ს.

◆ **კ. გამსახურდიას ლექცია.** კვირას, დეკემბრის 19-ს, სახელმწიფო დრამის თეატრის სამუსიკო დარბაზში კ. გამსახურდია წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე „თანამედროვე გერმანიის პოლიტიკური და კულტურული პრობლემები“.

ნამდვილს ზედ აწერია: „ვამტკიცებ“ 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ხ. ავალიანი.

წ ე ს დ ე ბ ა

ჭიათურის ბანკისა.

II. ბანკის ოპერაციები.

შენიშვნა: 1. სესხის გაცემისა და კრედიტის გახსნის დროს გირაოს ქვეშ, რომელიც ამა პარაგრაფის, ბ) მუხლის, 2 და 3 დანაწილებაში აღნიშნულია, ვადით არა ნაკლებ 2 თვისა, რაოდენობა ამა სესხისა და კრედიტისა შეიძლება გადიდებულ იქნას გამგეობის და საბჭოს ერთხმივ გადაწყვეტილებით გირაოს ღირებულების 80% დე. ნუსხა საქონლისა და საქონლის საბუთებისა, რომელთა ქვეშ შეიძლება გაიცეს სესხი და გაიხსნას კრედიტი აღნიშნულ გადიდებულ რაოდენობით, ამტკიცებს ფინანსთა მინისტრი.

შენიშვნა: 2. ბანკს ნება აქვს, საბჭოს ნებართვით, დაიგირაოს საქონელი და დასტოვოს იგი შესანახად დამგირავებლის ხელშივე, ხოლო ვალდებულება კი უნდა ჩამოერთვას, რომელშიაც ნამდვილად უნდა იყოს აღნუსხული საქონლის რაოდენობა და ბინა, სადაც ის ინახება, თან დამგირავებელმა უნდა იტვირთოს კანონით დაწესებული პასუხისმგებლობა შესანახად აღებული საქონლის უკლებლობისათვის. პირველშივე დამგირავებლისაგან განსაზღვრული და ბანკის მიერ შემოწმებული საქონლის შედგენილობა შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ბანკის წერილობითი ნებართვით.

გ) მიღება ფულის ბანკისადმი გადაცემულ ვექსილებით, ვადიან საბუთებით და პროცენტიან ქაღალდებითა.

დ) გადახდა ფულის საქართველოსა და საზღვარგარეთ იმ ქალაქებში, სადაც ბანკის განყოფილებანი, კომისიონერები და კორესპონდენტები არიან მესამე პირთა ან დაწესებულებათა ანგარიშით იმ პირობით კი, რომ გადასახდელი ფული წინდაწინვე უზრუნველყოფილი უნდა იყოს სავსებით ან ნაღდი ფულით, რომელიც უნდა ირიცხებოდეს ბანკში იმის მიმდინარე ანგარიშზე, ვისთვისაც იხდის ბანკი, ან ისეთი უდაო და სანდო გირაოთი, როშლის ქვეშ, თანახმა ამა პარაგრაფის ბ) მუხლისა, ბანკი სესხს იძლევა სესხისათვის დაწესებულ პირობათა დაცვით.

შენიშვნა: საგანგებოდ პატივსადებ შემთხვევაში, ამ მუხლში აღნიშნული გადასახდელი შეიძლება იყოს არა სრულიად უზრუნველყოფილი, მაგრამ უეჭველად გამგეობის ყველა დამსწრე წევრთა ერთხმივ გადაწყვეტილებით და 17 პარაგრაფში აღნიშნულ წესის დაცვით.

ე) გადაგზავნა ფულისა ყველგან, სადაც კი ბანკის განყოფილებანი, კომისიონერები და კორესპონდენტები არიან.

ვ) ყიდვა და გაყიდვა მესამე პირთა ანგარიშით ყოველგვარ სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებისა, გირავნობის ფურცლების, აქციებისა და ობლიგაციებისა, რომელთა ტრიალი საქართველოს რესპუბლიკაში ნება დართულია.

ზ) ყიდვა და გაყიდვა საქონლისა, მინდობილობით, კერძო პირთა, დაწესებულებათა და საგაჭრო სახლთა ანგარიშით და წინდაწინვე განსაზღვრული საკომისიო სასყიდლის აღნიშვნით, იმ პირობით, რომ ბანკის მიერ საქონელზე დახარჯული თანხა არ უნდა აღემატებოდეს ერთ მეხუთედს მის ძირითად თანხისას და რომ ნუსხა საქონლისა, რომელიც ბანკს შეუძლიან იყიდოს, ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული უნდა იყოს.

თ) ყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშით და მინდობილობით ძვირფას ლითონთა ზოდებად და მოჭრილ ფულად. ოქროს მისაღებ ასიგნოვკების, ტრატებისა და გადასაპირებელ ვექსილებისა, როგორც შინაგან საქართველოს რესპუბლიკისა, ისე უცხო ქვეყნებისა.

ს ა ნ ო ტ ა რ ო დ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა უვადო პასპორტი ისაკ გრიგოლის ძე ობუხოვსკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4187 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ლეონ აკოფას ძე აგამალოვის სახელზე, მიღებული ტფილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4191 3—3

ქუთაისის საეპარქიო სასამართლოში ელისაბედ სამსონის ასულმა ბარაიამ შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ივანე სიმონის ძე ბარაია, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1908 წ. უკვალოდ დაიკარგა 1912 წლიდან, რის გამო თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც იცის დაკარგული ივანე ბარქაიას მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკის არსებულ კანონთა ძალით განუცხადოს საეპარქიო სასამართლოს ზემოხსენებულ პირის მისამართი დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვისა ორი თვის განმავლობაში. 4234 3—3

ქალაქ გორში მცხოვრებელმა მოქალაქემ სარქის მჭედლიშვილმა დაჰკარგა სამსახურის ნუსხა № 3 მიღებული გორის მაზრის სამხედრო აღრიცხვის ნაწილიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4035 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ყვირილის ქუჩ. №10 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ივანოვს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4235 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 22168, მიღებული რკ. გზის სამმართველოდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა დიმიტრი იორდანაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4226 3—3

დაიკარგა პასპორტი № 106 სამსონ ასატურის ძე კაფიევის სახელზე, მიღებული შუშის მაზრაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4228 3—3

ქუთაისის ქალაქის მილიციის სამმართველო თანახმად ლავრენტი გლახუას ძე ფოფხაძის განცხადებისა, რომელსაც დაუკარგავს მოწმობა შემოწმებული რაჭის სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსის მიერ 23 იანვარს 1920 წ. № 9 და მოწმობა მიცემული მე-7 ქვეითა ათასეულის უფროსის მიერ № 1488, სთხოვს მპოვნელებს აღნიშნული საბუთებისა წარმოადგინონ მილიციის სამმართველოში ჩასაბარებლად კუთვნილებისამებრ. 4238 3—3

დაიკარგა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული იარაღის ტარების და შენახვის ნებართვა ანდრია ბეგოიძეს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4224 3—2

დაიკარგა პასპორტი იადვიგი კონსტანტინეს ასული ალექსეევის სახელზე, მიღებული მინსკის ქალაქის პოლიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4233 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი მე-8 სამილიციო უბანში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბარბარე გოლუბევისას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4219 3—2

დაკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 148 სერგო არიუთინოვის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4222 3—2

დაიკარგა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტიდან მიღებული მატრიკულის № 1487 სარა ქრისტეფორეს ასული აბულაძის სახელზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 4200 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა პარუჩიკი ერმილე ნაჭყებიას სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4199 3—3

დაიკარგა საბინაო წიგნი მარტყოფის და რეადოვის ქუჩაზე მდებარე სახლის, № 6-16 რომელიც ეკუთვნის კერესელიძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4229 3—2

დაიკარგა პასპორტი № 4013 მინას იაკუბ ოღლის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან ტფილისში. გაუქმებულად ჩაიოლოს. 4268 3—1

დაიკარგა აქციები „ლევანის ნავთის აქციონ. საზოგადოების (The Levanovskoe Petroleum Company) სოფრო ლევანის ასული ერისთავის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4259 1—1

დაიკარგა აქციები „ლევანის ნავთის აქციონერული საზოგადოების (The Levanovskoe petroleum company) ალექსანდრა მაკარის ასული მელიქოვის სახელზე №№ 50,001-60.284 ღირებულებით 10.286 გირვანქა სტერლინგი, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4260 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1072 მიცემული ს. წოუკრის სამმართველოდან (თემირ ხან-შურა). გაუქმებულად ჩაითვალოს. 4269 3—1

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონეს ილია ბერიაშვილს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული საქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4270 3—1

დაიკარგა მოწმობა მიცემული 1-ლი ქვეითა რაზმის სათადარიგო გუნდიდან № 1006 ალექსანდრე ივანეს ძე მინდაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4256 3—1

დაიკარგა პასპორტი, კავშირის წიგნაკი და საჩაიეს პატენტი აბდულა ხალილ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4273 3—1

დაიკარგა სამხედრო აღრიცხვაზე მიღების მოწმობა ალექსანდრე ივანეს ძე ბუჯიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4264 3—1

დაიკარგა პასპორტი ალექსანდრე ბალაშევსკის ლალაევის სახელზე, მიღებული ბაქოს პოლიცმეისტრის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4271 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის საზოგადოებიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მელიტონ ოტიას ძე გოშაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4275 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 97 მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან მიხეილ ზაქარიას ძე ცალქალამანიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4278 3—1

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანდრია ასლამაზაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისაგან 1918 წ. რეესტრით № 495. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4276 3—1

დაიკარგა მორიგ ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა პეტროს ხაჩატურის ძე დილბაროვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4258 3—1

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 3261 არონ ხაიმ მიხეილის ძე იოსებაშვილის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4261 3—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული საჩხეროს საერობო თემიდან და სამხედრო ნუსხა № 2780, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ელო იოსების ძე ლელუჩაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4262 3—1

დაიკარგა პასპორტი მამედ აღა ნაჯაფ ოღლის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან აქსტაფაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4263 3—1

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზ. სავევრო წიგნაკი № 1034 ოღლა დიმიტრის ასული შალიგინის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4266 3—1

ვექილობა მიცემული მოსეს გრიგოლის ძე მალუნცოვისთვის თურინჯა ალასიას ძის ვლასოვის მიერ, როგორც უფროსი გამაწესრიგებელი ამხანაგისა, ამხანაგობა „სვეტისა“ 1916 წელს 29 თებერვალს ნოტარიუს ქართველოვის რეესტრის № 2065 გაუქმებულია. 1223 3—1